საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №40

20 20 წ. "13" 03

ქ.თბილისი

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1.„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის

შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან", დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.3. „აკრედიტაციის დებულების" 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 12 აგვისტოს სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა (ცენტრში რეგისტრაციის №1038632) სააკრედიტაციო განაცხადი „საქართველოს ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 19 სექტემბრის № 827 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 27 ნოემბრის №1150 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 20-21 დეკემბერს. განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტის სიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, ხოლო 2020 წლის 10 თებერვალს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

თავმჯდომარე

მდივანი

4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4.ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 19 მარტს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რჩევები, ასევე, გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისდა 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისდა მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად რვა ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 2019 წლის 12 აგვისტოს №-1038632 (ცენტრში რეგისტრაციის №1038632) სააკრედიტაციო განაცხადი და ამ გადაწყვეტილების დანართი №1-ით გათვალისწინებულ „საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „საქართველოს ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 19 მარტის №10 სხდომის ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ გაიზიარა და დაამატა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) სასურველია, პროფესორებმა გაამრავალფეროვნონ მეთოდები და განსაკუთრებით აქტივობები, რომლებსაც ისინი იყენებენ ლექციების დროს;
ბ) გამოყენებულ იქნას საკურსო ნაშრომის ახალი, მაგისტრატურის დონესთან შესაბამისი კრიტერიუმები;
გ) შესწორდეს შეფასების სქემა იმ სილაბუსებში, სადაც გამოყენებულია სამპუნქტიანი შეფასების სქემა;
დ) გარდა დარგის განვითარებაზე მიმართული აქტივობებისა, სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის განხორციელდეს ტრენინგები სწავლა-სწავლების მეთოდებზე, შეფასების კრიტერიუმებსა და სილაბუსის სხვა მეთოდურ ნაწილებთან დაკავშირებით;

თავმჯდომარე

მდივანი

ე) საგანმანათლებლო პროგრამის ლიტერატურა გამდიდრდეს ანალიტიკური და კვლევითი კომპონენტებით;
ვ) სამაგისტრო საფეხურის მიზნებიდან გამომდინარე ისწავლებოდეს შესაბამისი კვლევითი მეთოდები.

5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 6 თვე 2020 წლის 1 ოქტომბრამდე.

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს 2020 წლის 1 აპრილს.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6,აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

საბჭოს მდივანი ნიკოლოზ კიკნაძე

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	საქართველოს ისტორია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 10 დეკემბერი, №258
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	საქართველოს ისტორია
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[5]	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საქართველოს ისტორიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	კვალიფიკაციის კოდი[7]	100401
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო, ქ. გორი, 1400, ჭავჭავაძის ქ.N68, სასწავლო კორპუსი №1.
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 1 აპრილი
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	ანგარიშის წარმოდგენის ვადა 6 თვე (2020 წლის 1 ოქომბრამდე)
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2027 წლის 1 აპრილი

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7]სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[9]საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თავმჯდომარე

მდივანი